ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ადამიანით ვაჭრობა-ტრეფიკინგი და მასთან ბრძოლის მეთოდები

თამთა დიასამიძე

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
პროფესორი ბესიკ ბერიძე

ხიჭაური
2021

სარჩევი

შესავალი 3

თავი I ტრეფიკინგის ზოგადი მიმოხილვა 6

1.2 ტრეფიკინგის არსი 7

1.3 ბავშვთა ტრეფიკინგი 11

1.4ტრანსპლანტაციისა და ბავშვთა ექსპლუატაციის შემთხვევები 12

თავი II. ტრეფიკინგის სახეობები საქართველოში 13

2.1 ბავშვებით ვაჭრობა 13

2.2 ბავშვთა ექსპლუატაცია 14

2.3 ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების ჯანმრთელობის ზოგადი პრობლემები 16

2.4 ბავშვებით ვაჭრობის პრევენცია 17

2.4 ადამიანით ვაჭრობის მეთოდები 19

თავი III. ტრეფიკინგის ნიშნები 20

3.1 შიდა ტრეფიკინგი. 21

3.2 IOM 23

3.3 მიგრანტების უფლებების დაცვა და მიგრანტებისა და თემების მხარდაჭერა. 24

3.4 მიგრაციის მართვის ზომები 24

თავი IV. იდენტიფიცირება და რეფერალი 25

4.1 იდენტიფიცირების პროცესი 26

4.2 თვით იდენტიფიცირება 28

4.3 იდენტიფიცირების კრიტერიუმები და ინდიკატორები 28

თავი V. დახმარება და დაცვა 29

5.1 თავშესაფარი 30

5.2 რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია 30

5.3 მონიტორინგი 31

5.4 გამოძიება და სამართლებრივი დევნა 31

თავი V1. უცხოელთა ტრეფიკინგი საქართველოში 32

გონიოს ბორდელები ტრეფიკინგი თუ პროსტიტუცია 32

6.2 ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის პრევენცია 35

6.3 ტრეფიკინგის მიმართ მოწყვლადობა და მისი ძირითადი მიზეზები 35

6.4 რა არის GRETA? 37
თავი VII. ტრენინგი და შესაძლებლობების გაუმჯობესება 38
7.1 მსხვერპლის მოწმის დაცვა 39
7.2 პრევენცია 40
7.3 მედია საშუალებები და ინფორმაციის ამაღლება 41
7.4 მოთხოვნის პრობლემის მოგვარება 42
თავი VIII 42
პრობლემის გადაჭრის ხერხები 42
8.1 დახმარება და დაცვა 44
დახმარებასა და დაცვის მონიტორინგთან დაკავშირებით: 45
8.2 გამოძიება და სამართლებრივი დევნა 45
8.3 როგორ იგებს ხელისუფლება მსხვერპლის შესახებ? 47
8.4 საკანონმდებლო ჩარჩო 49
გამოძიება დევნა და მსჯავრდება 49
დასკვნა 50
სოციოლოგიური კვლევის შედეგები და რეკომენდაციები 50
9.1 ტრეფიკინგის შესახებ, კვლევის (გამოკითხვის) ნუსხა: 51
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 64
გამოყენებული ვებ გვერდების ნუსხა 65

შესავალი

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის საზოგადოების კეთილდღეობა დაცვა მათზე მზრუნველობა და რაც ყველაზე მთავარია უსაფრთხოება. სამაგისტრო ნაშრომი კი ყველასთვის გახდება ნათელი მაგალითი იმისა თუ როგორ უნდა დავიცვათ, როგორ უნდა ვასწავლოთ და დავეხმაროთ ერთმანეთს, როგორ უნდა გააცნობიერონ ადამიანებმა დასმული პრობლემა და როგორ უნდა იქნეს აღმოფხვრილი და/ან მინიმუმამდე დაყვანილი ტრეფიკინგის შემთხვევები.

მიუხედავად იმისა რომ დღესდღეობით ქართულ ენაში ძალიან ბევრი უცხოური სიტყვაა დამკვიდრებული და გამოიყენება ჩვეულებრივ სასაუბროდ, არის ტერმინები, რომლების გაცნობიერება, გააზრება და სრულფასოვნად აღქმა ძალიან ბევრს არ შეუძლია. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა ტრეფიკინგი, რომელიც ძალიან ფართო განსაზღვრებებს შეიცავს.

თემის აქტუალობა. ადამიანით ვაჭრობა განიხილება, როგორც მონობის სახეშეცვლილი თანამედროვე ფორმა. საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა ,,საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველს. გარდა ამისა საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ,,ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გაეროს კონვენციის ოქმი“ და ,,ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. [2.გვ5]

საქართველოს, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებები გაფორმებული აქვს 20 ქვეყანასთან, რომლებიც მოიცავს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის

შესახებ თანამშრომლობას. შესაბამისი ოქმი ხელმოწერილია თურქეთის რესპუბლიკასთანაც.

სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობის ურთიერთშეფარდების მიზნით, შექმნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განახორციელებელი საუწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, მანდატის ფარგლებში შეიმუშავებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, ორ წელიწადში ერთხელ.

საქართველოს ჯანმრთელობის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე, შექმნილია ადამიანით ა(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და დაცვის სახელმწიფო ფონდი, რომელიც ემსახურება ტრეფიკინგის დაზარალებლუთა/მსხვერპლთა დაცვას და დახმარებას.

დანაშაულის პრიორიტეტულობისა და სიმძიმიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრის ცენტრალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია უკანონო მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო.

კვალიფიციური კადრების არსებობა, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზუსტად ამიტომ, შსს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების მომზადებას და გადამზადებას.

ჩემი გამოკითხვის შედეგად ცალსახად გამოიკვეთება ის პრობლემები რის გამოც ძალიან ხშირია ტრეფიკინგის შემთხვევები. ჩემი მთავარი მიზანი კი იმაში მდგომარეობს, გავარკვიო თუ რამდენად იცის საზოგადოებამ ტრეფიკინგის მნიშვნელობა და თუ შეუძლიათ ცალკეულ ინდივიდებს საკუთარი თავის დაცვა.

სამაგისტრო ნაშრომში ვისაუბრებ ტრეფიკინგის მნიშვნელობაზე, ცნობიერების ამაღლების და ტრეფიკინგთან ბრძოლის მეთოდებზე. ვისაუბრებ ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ და მის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე.

კვლევის მიზანი. ჩემი კვლევის მიზანია დავახასიათო და შევისწავლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) არსი და გავიგო თუ რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება ამ თემის მიმართ. მაინტერესებს ადამიანების აზრი ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ რომელსაც აუცილებლად გავაზიარებ ნაშრომის დასკვნით ნაწილში

კვლევის ამოცანა. ჩემ მიერ ჩატარებული კვლევისა და დაწერილი თემის მიზანია გავიგო:

· რა კეთდება ტრეფიკინგის წინააღმდეგ.

· რამდენად ეფექტურია მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და რა ღონისძიებებს მიმართავს სახელმწიფო.

· რამდენად ესმით ადამიანებს სიტყვა ,,ტრეფიკინგის" მნიშვნელობა.

· რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება და განსაკუთრებით ბავშვები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართ.

· რა დანალკისს განიცდის საზოგადოება და რას ასახელებენ ტრეფიკინგის გამომწვევ მიზეზებად.

· რა შეიძლება იყოს გამოსავალი.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის წერისას გამოვიყენე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, გავაკეთე ელექტრონული კითხვარი.

თავი I

ტრეფიკინგის ზოგადი მიმოხილვა

მე-20 საუკუნის ბოლოს მსოფლიო კრიმინალურ ბიზნესს იარაღით ვაჭრობასა და ნარკოტიკით ვაჭრობას დაემატა ახალი სახე, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობა, მეთოთხმეტე - მეთვრამმეტე საუკუნეების საქართველოში. იგი ცნობილი იყო ტყვეთა შესყიდვის სახელით. მას ძირითადად ჩადიოდნენ მუსლიმური ქვეყნების წარმომადგენლები, ქართველ დიდგვაროვანთა დახმარებით. ეს არის ადამიანის უფლებების ძალიან უხეში დარღვევა. ტრეფიკინგი, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს ძალიან დიდ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ზიანს აყენებ. ზიანი ხშირად ძალიან მძიმეა და მისი ჯანმრთელობის აღდგენა სამედიცინო ჩარევის შემთხვევაშიც ვერ ხერხდება.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდება ტრეფიკინგის განხორციელების მასშტაბებიც. იზრდება მისი მოთხოვნილებები და სისასტიკე. 1926 წლიდან მოქმედებს მონობის წინააღმდეგ კონვენცია. ხოლო 1996 წელს ძალაში შევიდა დამატებითი კონვენცია მონობის გაუქმების შესახებ.

ტრეფიკინგი არის ძალიან ფართომასშტაბიანი დანაშაული, რომელიც ძალიან ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული და მათ შორის საქართველოშიც. თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ბევრი ადამიანი განიცდის იძულებით ექსპლუატაციას ისინი სასჯელის შიშის ქვეშ ასრულებენ სამუშაოებს არა ნებაყოფლობით. ეს ქმედება აღიარებულია როგორც ოცდამეერთე საუკუნის მონათვაჭრობა ანუ ტრეფიკინგი. შეიძლება ვთქვათ რომ ტრეფიკინგის მასშტაბები სრულფასოვნად არ არის შეფასებული. ითვლება რომ ყოველწლიურად 4 მილიონი ადამიანია ტრეფიკინგის მსხვერპლი. შრომის საერთაშორისო მონაცემებით კი დროის ნებისმიერ მომენტში 2.5

მილიონი ადამიანია ტრეფიკინგირებული. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით მიღებულია ადამიანის ყველაზე ძირეული უფლებები რომლებიც ილახება ამ დანაშაულის შედეგად. ცნობები მიუთითებს, რომ მიღებული ზომების მიუხედავად ეს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და შემოსავლიანი კრიმინალური საქმიანობაა, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს იარაღით ვაჭრობასა და ნარკობიზნესის გვერდით. კრიმინალური ორგანიზაციების ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ მდიდარ ქვეყნებში, ღარიბი ქვეყნებიდან და მათ სხვადასხვა ექსპლუატაციას უწევენ.

1.2 ტრეფიკინგის არსი

ადამიანით ვაჭრობის სფეროში, იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც არანაირი დაბრკოლება არ ექმნენბოდათ საქართველო იყო მესამე კატეგორიის ქვეყანათა შორის.

როგორც აღვნიშნეთ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) წარმოადგენს ადამიანის ღირსებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ის იდენტურობის შენარჩუნების უფლებას ართმევს, ასევე გართობის, დასვენების, განათლების უფლებას. ევროპაში ბავშვების ტრეფიკინგი ძირითადად იძულებით შრომისა და სექსუალურ ექსპლუატაციის მიზნით ხდება. ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებს არწმუნებენ, რომ მათ არ აქვთ არჩევანის საშუალება და ამიტომ ბავშვები კარგავენ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მოტივაციას. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღმოსაფხვრელად საჭიროა ძალიან სერიოზული საერთაშორისო თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობით ბოროტად სარგებლობენ ტრეფიკიორები და ადამიანებს იბირებენ უკეთესი ცხოვრების დაპირებით, შემდეგ კი აიძულებენ იშრომონ იძულებით, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ ძალადობრივ პირობებში. [

ადამიანით ტრეფიკინგი განისაზღვრება, როგორც: სექსუალურ ტრეფიკინგში იგულისხმება, სექსუალური აქტის შესრულება ძალის გამოყენებით, მოტყუებით, იძულებით. განთავსება, ტრანსპორტირება, პირის გამოყენება ფიზიკური შრომისთვის და ძალის გამოყენებით სხვა მომსახურებები. ადამიანის ტრეფიკინგი ნიშნავს ძალის გამოყენებას ან მოტყუებას, პირზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

2000 წლის 15 ნოემბერს მიღებულმა გაეროს კონვენციამ, უშუალოდ კი მისმა დამატებითმა ოქმმა, ,,ადამიანის განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, დასჯისა და აღკვეთის შესახებ“ მიღებულმა 2000 წლის 12 დეკემბერს. აქ ჩამოყალიბებულია ტრეფიკინგის საერთაშორისოდ აღიარებული და თანამედროვე დეფინიცია ასეთი სახით

- **ა**. ადამიანის ყიდვა გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო ქმედების და გარიგების განხორციელება, აგრეთვე ძალადობით იძულებით ან მუქარით მოტაცებით თაღლითობით შანტაჟით მოტყუებით უმწეო მდგომარების ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით საზღაურის ან სარგებლის მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად რომელსაც სხვა პირზე შეუძლია ზეგავლენის მოხდენა, ადამიანის გადაბირება გადაყვანა გადამალვა დაქირავება გადაცემა შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

- **ბ.** თუ გამოყენებულია (ა) პუნქტის, რომელიმე საშუალება, მის წინასწარ განზრახულ ექსპლუატაციაზე, მსხვერპლის თანხმობას მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

- **გ**. ბავშვის გადაბირება , ტრანსპორტირება, გადაყვანა, მიღება ან შეფარება ექსპლუატაციის მიზნით, როდესაც არ ყოფილა გამოყენებული (ა) პუნქტის რომელიმე საშუალება, უნდა ჩაითვალოს ტრეფიკინგად.

- **დ.** სიტყვა ბავშვში იგულისხმება ყველა ადამიანი 18 წლამდე.

რა არის ექსპლუატაცია?

ადამიანის გამოყენება იძულებითი მომსახურების ან შრომის, ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან დანაშაულში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, ან ადამიანის იძულება სხეულის ნაწილის ან სხეულის ორგანოს გადანერგვის ანდა სხვანაირად გამოყენების მიზნით, მიიჩნევა ექსპლუატაციად. მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება ნიშნავს მისთვის იმ საბუთების ჩამორთმევა რომელიც საჭიროა პიროვნების იდენთიფიკაციისთვის. ისეთი უფლებების შეზღუდვას როგორიცაა თავისუფლად გადაადგილება ნათესავებთან და ოჯახის წევრებთან კონტაქტი, კულტურული იზოლაცია, პატივის და ღირსების შემლახველი პირობები ანდა ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის დაძალება. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე აზრი არ აქვს.

საქართველოს ხელისუფლებას ტრეფიკინგის პრობლემა ყოველთვის წინა პლანზე ჰქონდა წამოწეული და აქვს კიდევ. 2003 წელს სისხლის სამართლის კოდექსში დაემატა 1431, 1432, და 1433 მუხლები, 2006 წელს მიიღეს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარალელურად ამისა ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 1431, 1432, და 1433 მუხლებში, 2006 და 2007 წლებში საქართველო მიუერთდა გაეროს და ევროსაბჭოს კონვენციებს, ყველაზე დიდი მიღწევა ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში იყო ის, რომ შეიქმნა „ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ და საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭო, პარალელურად მიმდინარეობდა სახელმწიფო პროპაგანდა სკოლებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრეფიკინგთან ბრძოლასთან დაკავშირებით კერძოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ლექციები იმართებოდა, ხოლო სკოლების რამდენიმე წიგნში ჰქონდათ გაკვეთილად ტრეფიკინგი.

ევროპის მასშტაბით, მნიშვნელოვან ანტიტრეფიკინგულ მექანიზმს ევროსაბჭო წარმოადგენს., მის ფარგლებში შექმნილია ქვეყნის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ევროსაბჭოს კონვენცია არის პირველი, ამ მიმართულებით. და მისი მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ასევე რეაბილიტაცია.

კონვენციის მიზნებში შედის ასევე, იმ ადამიანების დასჯა რომლებიც ჩართულნი არიან ტრეფიკინგის დანაშაულში.

ექსპლუატაცია - სექსუალურ ექსპლუატაციაში ან პროსტიტუციაში ჩაბმას, იძულებით მომსახურებას ან იძულებით მუშაობას. მონობას, ასევე სხეულის ორგანოების, ქსოვილის ონ ორგანოს ამოკვეთას გადანერგვის მიზნით. სავალო კაბალა - ისეთ მდგომარეობა სადაც ვალის გადახდის დაფარვად არ ითვლება სამუშაოს ანაზღაურება, სამუშაოს ფორმა და ხანგრძლივობა არ არის განსაზღვრული. მონობასთან გაიგივება- მუშაობა , რომელსაც პირი ახორციელებს სხვისი დაძალებით. ტრეფიკინგის მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანა- ის ქვეყანაა სადაც პირის რეკრუტირება ხდება. ტრანზიტი სახელმწიფო - რომლის გავლითაც ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაყვანა. დანიშნულების სახელმწიფო - სახელმწიფო სადაც ხდება პირის ექსპლუატაცია. კონტრაბანდა მიგრანტთა - უცხო ქვეყნის მოქალაქის არალეგალური შესვლის უზრუნველყოფა. ეს არის მიზეზები, რომლითაც განსხვავდება ექსპლუატაცია ადამიანით ვაჭრობისაგან (ტრეფიკინგისაგან).

არალეგალური მიგრაცია - მოიცავს, როგორც ტრეფიკინგს, ასევე მიგრანტთა კონტრაბანდა.

არასრულწლოვნების ტრეფიკინგი - ამ მუხლში არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები ცხოვრებაში რეალიზაციასთან დაკავშირებით. ამ მუხლის სტრუქტურა გვაძლევს საშუალებას, რომ მისი სტრუქტურა არაერთგვაროვნად გავიგოთ. მუხლი იწყება სიტყვებით ,,არასრულწლოვანის ყიდვა ან გაყიდვა" ამის შესაბამისად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა უკვე დასრულებული დანაშაულია და ამისთვის სავალდებულო არ არის ექსპლუატაციის მიზნის დასრულება.

1.3 ბავშვთა ტრეფიკინგი

ბავშვთა ტრეფიკინგი ერთ-ერთი უმწვავესი დანაშაულის ფორმაა მსოფლიოში და ძალიან სწრაფად მზარდი დანაშაულებრივი ქმედება.

საქართველოს ისტორიის ლაქა არის და იქნება ქართველი ბავშვების მიტაცება და უცხო ქვეყნებში გაყიდვების ფაქტი. სადაც მეომარ მამლუქებად ყიდნენ ბიჭებს და გოგონებს ჰარამხანებისთვის. ამ უღირს საქმიანობაში არამხოლოდ უცხო ქვეყნის ხალხი არამედ ქართველებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასკვნით ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებულთა ყოველი მეხუთე არის არასრულწლოვანი.

ბავშვები უფრო მარტივად ებმებიან ტრეფიკიორთა მახეში ვიდრე ზრდასრულები. ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან ძირითადად ისეთი ბავშვები, რომლებიც მზრუნველობას არიან მოკლებულნი ან ის ბავშვები, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები, ქეჩაში მცხოვრები ბავშვები. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები არიან ტრეფიკიორები ბავშვების მიმართ, ისინი აძალებენ შვილებს მუშაობას, ან ქუჩაში მათხოვრობას, ეს ტრეფიკინგის ერთ-ერთი უმძიმესი შემთხვევებია. კვლევის მონაცემების მიხედვით ტრეფიკინგის მსხვერპლნი წელიწადში 1.2 მილიონი ბავშვია.

ეს არის ის, თუ როგორი გეგმები შეიმუშავეს ზოგადად ტრეფიკინგის პრობლემის გადასაჭრელად. რაც შეეხება უცხოელების ტრეფიკინგს საქართველოში ამის წინააღმდეგ ბრძოლა ცალკე არ გამოუცხადებიათ, თუ არ ჩავთვლით აჭარაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკე ორგანოს ჩამოყალიბებას.[გვ3]

1.4ტრანსპლანტაციისა და ბავშვთა ექსპლუატაციის შემთხვევები

20 ქვეყანასთან აქვს საქართველოს გაფორმებული შეთანხმებები . დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ისინი მოიცავენ თანამშრომლობას ადამიანით ვაჭრობის სფეროშიც, შესაბამის ოქმი ასევე ხელმოწერილია თურქეთთანაც. ტრეფიკინგის შემთხვევები საქართველოსთვის განსაკუთრებით საგანგაშოა. საქართველოში იშვიათად ხდება ისეთი შემთხვევა სხვა ქვეყანაში წასული საქართველოს მოქალაქის დაბრუნდება. ისინი ძირითადად მიდიან იმიტომ , რომ ეძებენ სამუშაოს. უკან დაბრუნებულებს კი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ შეუძლიათ ჩვეულებრივ და ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნება ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობების გამო. ასევე არ შეუძლიათ ოჯახის შექმნა და ბავშვების ყოფა ამავე მიზეზების გამო.

თავი II. ტრეფიკინგის სახეობები საქართველოში

არასამთავრობო ორგანიზაცია ,, მიგრაციის ცენტრი“-ს აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია ტრეფიკინგის 2 ტიპი და ესენია სექსუალური და შრომითი ექსპლუატაცია. სხვა სახეობა ჯერ გამოვლენილი არ ყოფილა. ყველაზე რისკიან რეგიონად კი სახელდება აჭარა. სადაც აჭარის ორგანიზაციამ აწარმოა კამპანია ტრეფიკინგის წინააღმდეგ.

2.1 ბავშვებით ვაჭრობა

ადამიანებით, მათ შორის ბავშვებით ვაჭრობა უხსოვარი დროიდან მოდის, როდესაც ადამიანებს, როგორც ნივთებს ისე ეპყრობოდნენ. ისტორიაში არის მრავალი მაგალითი ბავშვებით ვაჭრობისა. მაგალითად, რომის იმპერიაში მამას უფლება ქონდა შვილი მონად გაეყიდა, გაყიდულ ბავშვებს აიძულებდნენ მათხოვრობას და პროსტიტუციას. გასულ საუკუნეში კი ფაბრიკებში, უპატრონო ღარიბ, ობოლ ბავშვებს აიძულებდნენ ანაზღაურების გარეშე მუშაობას. ისინი დაზგებთან მუშაობდნენ დღეში 16 საათი და , რომ არ გაქცეულიყვნენ კედელზე აბამდნენ ჯაჭვით.

ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი ქცევა თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ბავშვებით ვაჭრობა ოცდამეერთე საუკუნის გადაუჭრელი პრობლემაა. ჩვენს დროში ყველაზე დიდი პრობლემებია:

. **ნარკოტიკებით ვაჭრობა.**

. **იარაღით ვაჭრობა**

. **ტრეფიკინგი (ადამიანით, განსაკუთრებით ბავშვებით ვაჭრობა)**

. **ტერორიზმი**

ბავშვთა ტრეფიკინგი არალეგალური სახსრებით, გავრცელებით მასშტაბითა და საშიშროების ხარისხით, მესამე ადგილს იკავებს. საქართველოში ტრეფიკინგის ძალიან ღრმა ფესვები აქვს. ბავშვთა ტრეფიკინგის პრობელემა იქნება მანამ სანამ დიდსა თუ პატარას არ ეცოდინება საკუთარ უფლება-მოვალეობები, ასევე ის შიში და ტკივილი, რაც ამგვარ დანაშაულს მოაქვს. ამის გარდა ყველა ადამიანმა და მოზრდილმა უნდა გააცნობიეროს ბავშვის სიცოცხლესა და ბედზე საკუთარი პასუხისმგებლობა.

ქვეყნის შიგნით, ტრეფიკინგის მსხვერპლნი ძირითადად მოწყვლადი, მზრუნველობა მოკლებული ბავშვები არიან, რომელბიც ოჯახისგან არიან მზრუნველობას მოკლებულნი და ისინი ძირითადად სოფლიდან ქალაქში მიდიან სამუშაოდ. შემდეგ ისინი ტრეფიკიორების ხელში ხვდებიან. ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც თავად მშობლები ყიდიან ბავშვებს, როდესაც ტრეფიკინგი მიმდინარეობს ქვეყნის გარეთ, ბავშვები ძირითადად ყალბი საბუთებით გაჰყავთ. როგორც აღვნიშნე ტრეფიკინგის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად მზრუნველობა მოკლებული ბავშვები არიან, მაგრამ შეიძლება ამ ზონაში მოხვდნენ ნორმალური ოჯახის ბავშვებიც. ისინი კონკრეტული შეთავაზებებით ტყუვდებიან. ასეთია მაგალითად სამოდელო ბიზნესი, ქვეყნიდან გასვლის, ტოპ მოდელად ქცევის და ადგილის დამკვიდრების სურვილმა შეიძლება ელემენტარული უსაფრთხოება დაავიწყოს არამარტო ბავშვს არამედ მშობელსაც.

2.2 ბავშვთა ექსპლუატაცია

ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია ნიშნავს იძულებით შრომას, ბავშვის იძულებით გამოყენებას დანაშაულში და პროსტიტუციაში ჩაბმა. ბავშვს აიძულებენ,

მომვლელად, მაღაროებში, მშენებლობაზე, ქარხნებში, იმუშაოს ნარკოტიკების წარმოება გასაღებაში, იმათხოვროს და სხვა.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას, იძულებით სექსუალურ ურთიერთობებში ჩაბმის მიზნით, რისთვისაც სხვა პირებს ან ბავშვს გასამრჯელოს უხდიან. სექსუალური ექსპლუატაციის დროს ხდება ბავშვის დამცირება, დასჯა, გარყვნა, და საფრთხე ექმნება მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ადამიანებით მოვაჭრეთა ქმედებები, რომლებიც ტრამვულ რეაქციებს იწვევენ:

- ძალადობა;
- მკვლელობა;
- თავდასხმა;
- მოტაცება;
- იზოლაცია;
- აკრძალვა;
- ტრადიციული რიტუალების ჩატარება;
- ადამიანის უფლებათა ჩამორთმევა;
- მასობრივი მკვლელობები;
- სისასტიკე;
- არჩევანის შეუძლებლობა.[3.გვ 6]

2.3 ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების ჯანმრთელობის ზოგადი პრობლემები

ტრეფიკინგის მსხვერპლებს ხშირად მთელი რიგი პრობლემები აქვთ ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისა, რაც გამოწვეულია მოვაჭრეთა მიერ განხორციელებული უხეში მოპყრობით, სამედიცინო დახმარების უკმარისობით, პირადი ჰიგიენის დაუცველობით, სანიტარული პირობების დაბალი დონით, არასრულფასოვანი კვებით, შრომის სახიფათო პირობებით. როგორც წესი ჯანმრთელობის პრობლემის ადრეულ სტადიაზე მკურნალობა არ ხდება და შესაბამისად პრობლემა მწვავდება.

ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები:

- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, შიდსი;
- ფეხმძიმობა;
- უნაყოფობა;
- ზურგის, სმენის, გულ-სისხლძარღვთა ან სასუნთქი სისტემების ქრონიკული პრობლემები;
- სუსტი მხედველობა და თვალის სხვა დაავადებები;
- სერიოზული სტომატოლოგიური პრობლემები;
- კვებითი დარღვევები;
- ტუბერკულოზი;
- გამოუვლენელი დაავადებები, როგორიცაა დიაბეტი ან კიბო;
- სისხლჩაქცევები, იარები და ფიზიკური ძალადობის, წამების სხვა კვალი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები:

· დანაშაულის გრძნობა;

· აგრესიულობა;

· იძულებით ან საკუთარი ნებით ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები;

· დეპრესია;

· ორიენტაციის დარღვევა;

· ცნობიერების ბუნდოვანება;

· ფობიები (შიშები);

· პანიკის რეაქცია;

· დაუცველობის, სირცხვილის, დამცირების, შოკის, განკიცხულობის, უიმედობის განცდები;

· გარემომცველთა მიმართ უნდობლობა;

· უმწეობა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის არარსებობა.[3.გვ 7]

2.4 ბავშვებით ვაჭრობის პრევენცია

პრევენციული ღონისძიებები განსაკუთრებით ორიენტირებული უნდა იყოს მოწყვლად ჯგუფებზე და უნდა გატარდეს რამდენიმე მიმართულებით, მათი კრიტიკული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებული. რისკ ჯგუფებში დაცვითი მექანიზმების გაძლიერება აუცილებელია. დღეს დღეობით მსოფლიოში არ არის ისეთი სახელმწიფო სადაც ტრეფიკინგის შემთხვევები არ

იქნებოდა ან საერთოდ ტრეფიკინგი არ იარსებებდა. ადამიანები, რომლებიც მიგრირებენ სახელმწიფოდან სახელმწიფოში ან ერთი სახელმწიფოს შიგნით, ისინი ხშირად არიან გაურკვევლობაში რადგან არ აქვთ ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის რეალური სურათი. ამის შემდეგ ისინი იძულებულნი არიან მიმართონ მესამე პირს, რომელიც ყველაზე ხშირად არიან ტრეფიკიორები. ამიტომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ტრეფიკინგთან ბრძოლისა და მისი პრევენციისათვის არის საგანმანათლებლო - საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარებას. ამ ღონისძიებების მიზანია ის, რომ დიდმა თუ პატარამ გააცნობიეროს ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის საფრთხე. ამიტომ ბავშვებს უნდა განვუმარტოთ, ამ დანაშაულის შედეგები და სიმძიმე, უნდა ვასწავლოთ რისი გაკეთება შეუძლიათ თუ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებიან.

მედიის, სოციალური სამსახურის , ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების როლი:

· შვილებისა და მშობლებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება.

· უშუალო კავშირების დამყარება ოჯახის წევრებთან და მუსაობრის წარმოება სკოლებში.

· ეკონომიკურად მხარში დგომა და შემოსავლიან სამსახურის პოვნაში მხარდაჭრა.

· პროფესიონალურ დონეზე ტრეფიკინგის პრობლემის გაშუქება მედიაში. ის უნდა მოიცავდეს ტრეფიკინგის მკაფიო განმარტება, მეთოდებს და ფორმებს, რომლებსაც ტრეფიკიორები იყენებენ, საშიშროებები, რომლებიც ემუქრება მსხვერპლს.

· რისკ ჯგუფებში ცნობიერების ამაღლება, ტრეფიკინგისაგან თავის დაღწევის ხერხების სწავლება.

აღმზრდელების როლი.

ინსტიტუციურ დაწესებულებათა აღმზრდელებს მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ ტრეფიკინგისაგან ბავშვების დასაცავად. რეალურად აღმზრდელებს, შეუძლიათ თავიანთი აღსაზრდელებისთვის ტრეფიკინგის საფრთხის არიდება, თუკი საკმარისი ინფორმაცია ექნებათ იმის შესახებ , სად იმყოფება თანამედროვე მონათმფლობელობის საფრთხე. როგორ შეიძლება მისი თავიდან არიდება და რა არის მოსალოდნელი შედეგები.

2.4 ადამიანით ვაჭრობის მეთოდები

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ტრეფიკინგის მსხვერპლების საქ-ოში შეყვანა ან გაყვანა ძირითადად საჰაერო ან სახმელეთო ტრანსპორტით ხდება. არ დაფიქსირებულა საზღვაო ტრასპორტირების შემთხვევა. მიუხედავად იმისა რომ ინფორმაცია ტრეფიკინგის მეთოდების შესახებ ძალიან მცირეა ფიზიკური რეკრუტირების მეთოდი ჩაანაცვლა მოტყუებამ რომელიც ადამიანით ვაჭრობის უფრო დახვეწილი ფორმაა. ადრე ძირითადად მოტყუებით ითანხმებდნენ ადამიანებს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლაზე, მაგრამ 2007 წლიდან უფრო მეტია შემთხვევები როდესაც წინასწარ ეუბნებიან მოუწევთ სექს მუშაკად მუშაობა ან ფიზიკური შრომა. მაგრამ მსხვერპლი მაინც მოტყუებული რჩება პირობებთან დაკავშირებით.

თურქეთში ძირითადად მსხვერპლნი სახმელეთო გზით გადაჰყავთ ხოლო არაბეთში საჰაერო. იმ ადამიანების მიერ რომლებმაც განახორციელეს მსხვერპლის გადაყვანა სხვა ქვეყანაში ექსპლუატატორისათვის გადაცემა ჩვეულებრივ იმავე დღეს ხდება ან რამდენიმე დღეში. გადასახადებზე ინფორმაცია კი ძალიან მცირეა ექსპლუატაციის ბაზაზე მიმართავენ შეურაცხყოფას და ძალადობას. მათ შორისაა ცემა ფიზიკური ძალადობა, გაუპატიურება , სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმა. ეს ყველაფერი კი ხდება იმისათვის რომ მოხდეს სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლის

კონტროლი. შრომითი ექსპლუატაციის დროს კი ძირითადად გადაადგილება იზღუდება, მსხვერპლის გასაკონტროლებლად ართმევენ საბუთებს მიმართავენ შეურაცხყოფას და ძალადობას. კვლევების უმეტესობა თვლის რომ ადამიანით ვაჭრობა ძალიან მზარდი პრობლემაა. ითვლება რომ ზრდასრული ქალები არიან ყველაზე მეტად დაქვემდებარებული ჯგუფი სექსუალური ექსპლუატაციისა.

თავი III. ტრეფიკინგის ნიშნები

მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა ძალიან ფართომასშტაბიანი, ის მაინც ძალიან დიდი და სწრაფად მზარდია, მისი ნიშნებია:

· იმიგრანტების უკანონო გაყვანა, რომელიც ყველაზე ხშირად მონურ მდგომარეობაში ჩაყენებით სრულდება.

· პროსტიტუციაში ჩასაბმელად ბავშვების და ქალების გაყვანა.

· არაკვალიფიციური მუშახელის არალეგალური გაყვანა.

· განვითარებადი ქვეყებიდან შინამოსამსახურეთა გაყვანა.

· იმ ბავშვების გაყვანა, რომლებიც უკანონოდ იქნენ გაშვილებულნი.

· ტრანსპლანტაციის მიზნით ადამიანების უკანონო გაყვანა.

ტრეფიკინგის ახასიათებს ნიშნები :

- ქმედება, რომელსაც პირი ასრულებს მატერიალური ან სხვა სარგებლის მისაღებად.
- მსხვერპლისთვის იმ საბუთების ჩამორთმევა, რომელიც თავისი იდენთიფიკაციისათვის არის საჭირო.

- თავისუფლად გადაადგილების, ინფორმაციისა და ნათესავებთან კონტაქტის აკრძალვა.
- ადამიანის ნდობის ბოროტად გამოყენება.

3.1 შიდა ტრეფიკინგი.

ვიცით, რომ საქართველო არის ტრანზიტული ქვეყანა, როგორც გასაყარი ევროპასა და აზიას შორის, ასევე საქართველო არის სატრანზიტო მარშრუტი ტრანს ევრაზიული და ინტერ კონტინენტური მოგზაურებისათვის. წინათ საქართველო იყო სატრანზიტო ქვეყანა მსხვერპლთათვის ცენტრალური აზიიდან და მარშრუტი არაბეთის გაერთიანებული ემიგრანტებისა და თურქეთისაკენ, კერძოდ უზბეკეთიდან და ყირგიზეთიდან, ახლა არის დანიშნულების სახელმწიფო.

IOM - ის და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2011 წლის ანგარიშის თანახმად 2004-დან 2006-მდე იდენტიფიცირებული ყველა ქალი მსხვერპლი შემოყვანილია არაბეთის გაერთიანებული ემიგრანტებში ტრანზიტის მიზნით, მას შემდეგ როგორც ჩანს საქართველოში ტრანზიტი რეგისტრირებული არ არის. უზბეკი ქალების ექსპლუატაცია ძირითადად საქართველოში ხდება. ასევე 2014 წელს საქართველოს აჭარის რეგიონში იყო ტაჯიკების ექსპლუატაციის შემთხვევა.

პირობების გაუმჯობესებამ საქართველო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანად აქცია, რასაც 2004წლიდან მოყვა კვალიფიციური ქართველების დაბრუნება. საქართველოში გაიზარდა სხვა ქვეყნის მოსახლეობის მიგრაცია და შრომით მიგრაცია ასოცირდებოდა ტრეფიკინგთან როგორც უცხოელი ასევე ადგილობრივი მუშებისთვის. ამის შესაბამისად მეტი ყურადღება დაეთმო მიგრაციის სტრატეგიის განხორციელებას. ძალიან ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა უცხოელების ექსპლუატაციისა მშენებლობაში სოფლის მეურნეობასა და ოჯახში იძულებით

მუშაობისა. ასევე აღინიშნა 2011 წელს უცხოელი მამაკაცების ექსპლუატაცია საქართველოში. IMO-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით სამეგრელოსა და ზემო სვანეთის ოჯახებსა და ფერმებში მიენიჭათ პირებს , ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის სტატუსი, და ისინი მშობლიურ თურქეთში დააბრუნეს.

საქართველოში მცხოვრები მიგრანტების ჯგუფია ძირითადად: რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ყაზახები, უკრაინელები, ჩინელები, თურქები და ბელორუსები.

აღინიშნა რომ აჭარაში ძირითადად სექსუალური ექსპლუატაციის წარმოშობის სახელმწიფო ძირითადად ცენტრალური აზიაა, ერთმა კი აღნიშნა რომ სექს ტურიზმი თურქეთიდან ზრდის მოთხოვნას ამ რეგიონში.

IOM- ვარაუდობს რომ სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში და კოდორის ხეობაში ქართველი მამაკაცები შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი არიან ფერმებსა და სამრეწველო ქალაქებში. ასევე არის ცნობილი რომ ბავშვები იძულებით ერთვებიან მათხოვრობაში. არის იმის მოსაზრება რომ შეიძლება გამოვლინდეს ადამიანით ვაჭრობის შემთხვევები ქუჩაში იძულებით მათხოვრობის დროს.

IOM-ის მოძიებული მონაცემების მიხედვით ადამიანით ვაჭრობისა და სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი არიან ძირითადად ბავშვები და ქალები. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა რომ სექსუალურ ექსპლუატაციაში ქალები ჭარბობენ ხოლო კაცები შრომითში. ქალები რომლებიც უძღვებიან სექსუალურ ექსპლუატაციას ძირითადად თვითონაც ყოფილი სექს მუშაკები არიან. და მათ სხვები მიჰყავთ ძირითადად თურქეთში ხანდახან არაბეთის გაერთიანებულ ემიგრანტებში. ხოლო მამაკაცი რეკრუტერები ძირითადად მსხვერპლების ქმრები ახლო ნათესავი არიან. საქართველოს მთავრობის მონაცემებით ადამიანით

მოვაჭრეები ძირითადად არიან თურქები და ქართველები ხოლო მსხვერპლნი უზბეკები და ქართველები.

3.2 IOM

IOM არის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა საზღვრების მართვის და მიგრაციის მართვის ეფექტიან შემუშავებაში. ის უზრუნველყოფს მიგრაციის გამოწვევებზე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეაგირებას. 1993 წლიდან ეს ორგანიზაცია მუშაობს თბილისის ცენტრალური ოფისიდან და აქვს 4 საველე ოფისი ქუთაისში, ბათუმში, თელავსა და ფოთში. IOM-მა წლების განმავლობაში იმუშავა სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიგრაციასთან დაკავშირებით, როგორებიცაა კრიზისზე და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება. საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლა, საზღვრების მართვა და პრევენცია, მიგრანტთა დაცვა, დახმარება, ადამიანური რესურსის განვითარება, მიგრანტთა ჯანმრთელობის დაცვა.

საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორობა- IOM ხელს უწყობს განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიგრანტთა უფლებებზე დაყრდნობით და კანონის უზენაესობის დაცვით. IOM მხარს უჭერს მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას, და ხელს უწყობს საერთაშორისო და რეგიონულ თანამშრომლობასა და პარტნიორობას, საქართველოს მთავრობის მჭიდრო თანამშრომლობით. IOM-ს საქმიანობა ემყარება კანონიერ, უსაფრთხო და მოწესრიგებულ მიგრაციის კომპაქტის მიზნებსა და პრინციპებს.

მიგრაციისა და საზღვრის მართვა- IOM მხარს უჭერს მიგრაციის ეფექტიანი მართვის ჩამოყალიბებას და მიგრაციის თანამედროვე პრაქტიკის დამყარებას, ყოვლისმომცველი თანამშრომლობით საქართველოს მთავრობასთან. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით IMO-მა განავითარა სისტემები, რომელიც დაინერგა საქართველოს ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტში ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი ისეთ სფეროში, როგორიცაა მიგრაციისა და საზღვრის მართვა.

3.3 მიგრანტების უფლებების დაცვა და მიგრანტებისა და თემების მხარდაჭერა.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, IOM-მა გააძლიერა მიგრანტებზე ორიენტირებული მომსახურებები, როგორიცაა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და მიგრანტების უფლებების უკეთ რეალიზაცია. ასევე IOM ახორციელებს საქართველოს მოქალაქეების უკან ნებაყოფლობით დაბრუნებას 30 ქვეყნიდან და აძლიერებს მათ მდგრად რეინტეგრაციას სოციალურ, ფსიქოსოციალურ და სხვა დახმარების უზრუნველსაყოფად.

ოპერაციები და საგანგებო სიტუაციები. კატასტროფაზე რეაგირების და შინაგან საქმეთა სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობით, IOM მონაწილეობს მიგრაციის კრიზისის ოპერაციულ ჩარჩოს შემუშავებაში. კრიზისულ ასპექტებთან მეტად ეფექტიანი გამკლავების მიზნით.

3.4 მიგრაციის მართვის ზომები

ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, ყალბი საბუთების შემცირებით დასრულდა. საქართველოში ლეგალური მიგრაციის პრევენციის მიზნით 2014 წელს ძალაში შევიდა, საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. საქართველოს ვიზის მისაღებად

მიგრანტებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა თანდართულ დოკუმენტთან ერთად ეს არის საჭირო იმისთვის რომ მათ დააფიქსირონ თავიანთი ვიზიტი. ეს კი შრომით საქმიანობის შემთხვევაში გულისხმობს სამუშაოს ხანგრძლივობისა და ანაზღაურების ოდენობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საქართველოში მიგრაციის მართვის ბევრი პროექტი განხორციელდა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს და საქართველოს გარეთ მიგრანტიის ექსპლუატაციის შემცირებაზე. მათ შორისაა IMO-ის პროექტი, ,,მთავრობის მიერ საზღვრის და მიგრაციის მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება“ ეს პროექტი დაიწყო 2013 წელს და გაგრძელდა 2017-მდე.განხორციელდა კიდევ ერთი პროექტი ,, ევროკავშირის პარტნიორობა მობილურობისთვის , განვითარების პოტენციალის გაძლიერება საქართველოში რეგულარული მიგრაციის მობილიზაციის გზით“

თავი IV. იდენტიფიცირება და რეფერალი

მთავრობის 2006 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით საკოორდინაციო საბჭომ მიიღო ეროვნული რეფერალური მექანიზმი. ეს იყო სამოქმედო გეგმა და ინსტრუქცია ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დასაცავად. ასევე შემუშავებული იქნა ეროვნული რეფერალური მექანიზმის სამოქმედო ჩარჩო ტრეფიკინგის მსხვერპლების იდენტიფიცირების საკითხი და სტრატეგიები. ეს სამოქმედო ჩარჩო 2011 წელს შევიდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესში.

ეროვნული რეფერალური მექანიზმი შედგება სამი ნაწილისაგან:

- იდენტიფიცირება (რომელიც არის პირველადი და მეორადი)
- მსხვერპლის დაცვა, რომელშიც შედის დაცვითი ზომები სამედიცინო დახმარება, იურიდიული დახმარება და ა.შ)
- რეაბილიტაცია , რეინტეგრაციის პროცესი და სოციალური პროგრამები.

4.1 იდენტიფიცირების პროცესი

არსებობს კანონი რომელიც განასხვავებს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლსა და დაზარალებულებს. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივი ჯგუფი ანიჭებს პირველ სტატუსს ტრეფიკინგის მსხვერპლებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (მუხლი 110) ხოლო მეორე სტატუსს სამართალ დამცავი ორგანოები ანიჭებენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მიხედვით.

ეროვნული რეფერალური მექანიზმის პირველი ნაწილი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მას უპირველესად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ. როდესაც მსხვერპლს სურს მიიღოს მსხვერპლის სტატუსი ამ დროს უკავშირდებიან სპეციალურ მობილურ ჯგუფებს. მსხვერპლთა იდენტიფიცირება ხდება ერთიანი სტანდარტებისა და წესების მიხედვით რომელიც მიღებულია უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ. მათ მიერ მსხვერპლის სტატუსის მინიჭება უნდა მოხდეს 48 საათის განმავლობაში, მობილური ჯგუფების მიერ მიწოდებული კითხვარის შევსების საფუძველზე. ეს მობილური ჯგუფები შედგება იურისტებისა და ფსიქოლოგებისაგან. როდესაც ადამიანი ახდენს თვით იდენტიფიცირებას ან არსებობს ეჭვი რომ პირი არის მსხვერპლი იწვევენ მობილურ ჯგუფს ის ატარებს ინტერვიუს და შევსებული კითხვარი გადაეცემა მუდმივ ჯგუფს (4.3) მობილურმა ჯგუფმა კი აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალობა (4.4) ვიცით რომ მუდმივ ჯგუფს ამტკიცებს უწყებათაშორისი საბჭო რომელიც შედგება 5 წევრისაგან. მუდმივ ჯგუფის წევრებს ამტკიცებს უწყებათაშორისო საბჭო. მუდმივი ჯგუფი შედგება 5 არასამთავრობო და 1 საერთაშორისო ორგანიზაციისაგან. იმ შემთხვევაში თუ პირს მიენიჭება მსხვერპლის სტატუსი გაიცემა დამადასტურებელი საბუთი რომელიც მსხვერპლს წერილობით ეწოდება იმ

შემთხვევაში თუ პირს მსხვერპლის სტატუსი არ მიენიჭება ინფორმაცია გადაეცემა სახელმწიფო ფონდს. სხვა ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციის ან სხვა ქვეყანაში არსებული მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის აღიარება არ ხდება. ამ პირებს შეუძლიათ მოთხოვონ მუდმივმოქმედ ჯგუფს და მიიღონ მსხვერპლის სტატუსი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ დახმარება. იმ შემთხვევაში თუ მუდმივმოქმედი ჯგუფი აცხადებს უარს სტატუსის მინიჭებაზე მან ეს ინფორმაცია უნდა აცნობოს სახელმწიფო ფონდს, მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალობა წინააღმდეგ შემთხვევაში ან მათი გამჟღავნების შემთხვევაში მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. მსხვერპლის იდენტიფიცირების შემდეგ ის უნდა მოთავსდეს თავშესაფარში და მიიღოს ყოველგვარი დახმარება. სამთავრობო არასამთავრობო ან სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა რომ 48 საათი მსხვერპლის სტატუსის მისანიჭებლად ძალიან მოკლეა ასევე მატ განმარტეს ისიც რომ ხშირ შემთხვევაში მუდმივ ჯგუფს უწევს პირველ კითხვართან დაბრუნება რადგან მოხდეს პირის მიერ გაცემული პასუხების დაზუსტება... საქართველოს მთავრობამ განმარტა რომ 48 საათის დადგენა მოხდა პირის სტატუსის გარეშე ყოფნის ვადის მინიმუმამდე დაყვანისათვის რადგან მას შეძლებოდა რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს სახელმწიფო ფონდის მომსახურების მიღება. მუდმივი ჯგუფი გრძნობს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას რადგან დარწმუნებული იყვნენ სამართლიანი სტატუსის მინიჭებაში, და გამოირიცხოს ის შემთხვევა როდესაც სახელმწიფო ფინანსები და სარგებელი არ გადაეცეს ადამიანს რომელიც არ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამავდროულად აღინიშნა ისიც რომ არ არსებობს მექანიზმი იმის დასადგენად თუ რამდენად სიმართლეს ამბობს ადამიანი და ასევე არსებობს ეჭვი რომ ზოგიერთ ადამიანს ამოძრავებს სურვილი იმისა, მიიღოს ერთჯერადი დახმარება 1000 ლარი და მსხვერპლისთვის განკუთვნილი სამედიცინო დახმარება. ამიტომ საჭიროა

მობილური ჯგუფის წევრები იყვნენ საკმაოდ კვალიფიცირებულნი ასეთი შემთხვევების მინიმუმამდე შესამცირებლად.

4.2 თვით იდენტიფიცირება

დასაწყისში შეიქმნა სხვადასხვა ცხელი ხაზები, რომლებშიც ზარები არ განხორციელებულა. ახლა ძირითადად არის ორი ტრეფიკინგთან ბრძოლის ცხელი ხაზი. პირველს ამუშავებს პოლიცია მეორეს კი სახელმწიფო ფონდი. სახელმწიფო ფონდი უფასო და ანონიმური მომსახურებით უწევს კონსულტაციას რომელიც არის საკმაოდ კვალიფიკაციური და ასევე ატყობინებენ ინფორმაციას სახელმწიფო ფონდის მომსახურების შესახებ.

4.3 იდენტიფიცირების კრიტერიუმები და ინდიკატორები

2013 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გამომძიებლების პროკურორების და ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლებისაგან. შეიქმნა სახელმძღვანელო რომელიც განკუთვნილია სამართალდამცავთათვის, სახელმძღვანელო ორიენტირებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებზე, ტრეფიკინგის დეფინიციაზე გამოძიების სტანდარტებზე, მსხვერპლის დაკითხვის სტანდარტებზე, და მტკიცებულებების სტანდარტებზე ეს სახელმძღვანელო ტრეფიკინგის საბჭომ დაამტკიცა 2014 წელს.

მსხვერპლის პროაქტიული იდენთიფიკაციისთვის ტრეფიკინგის სამუშაოს ჯგუფმა შეიმუშავა სტანდარტული პროცედურები, რომელიც 2015 წელს დამტკიცდა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. სტანდარტული სამუშაო მობილურ ჯგუფს უზრუნველყოფს სპეციალური ინსტრუქციებით და სტანდარტებით სექსუალური ექსპლუატაციის იძულებითი შრომის და ბავშვი მსხვერპლების იდენტიფიცირებისათვის,

ეროვნული სამოქმედო გეგმა რომელიც დადგინდა 2015-2016 წლებში ითვალისწინებდა ინსტრუქციების შემუშავებას იმ მობილური ჯგუფებისათვის რომლებიც მუშაობდნენ უსახლკარო, მომუშავე და ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან. შესაბამისად სტანდარტული პროცედურები ითვალისწინებენ ზომებს რომლებიც უნდა გაატარონ გამომძიებლებმა შესაძლო მცირეწლოვან ბავშვებთან მუშაობისას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ფონდი აცნობებს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც ატარებს ბავშვებზე ზრუნვის ღონისძიებებს.

თავი V. დახმარება და დაცვა

ტრეფიკინგის მსხვერპლად წოდებულ ადამიანებს უფლება აქვთ დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის მომსახურება. კანონის მე-9 მუხლის თანახმად სახელმწიფო ფონდი დაფუძნდა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ფონდის მიზანია კონპენსაციის გაცემა, დაცვის დახმარებისა და რეაბილიტაციის დაფინანსება. სახელმწიფო ფონდი ასევე უზრუნველყოფს სამედიცინო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, თავშესაფრის მომსახურებებს, კონპენსაციას 1000 ლარის ოდენობით და ცხელი ხაზის მომსახურებას. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის 18-ე მუხლი განსაზღვრავს დახმარებისა და რეაბილიტაციის ზომებს ხოლო 17-ე სახელმწიფო უწყებების კომპეტენციებს.

5.1 თავშესაფარი

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის 19-ე მუხლის თანახმად შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება ანუ თავშესაფარი, მისი მიზანი არის მსხვერპლთა დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასევე კანონი აძლევს უფლებას ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შექმნას თავშესაფარი ოღონდ არა მომგებიანი, საკანონმდებლო სტანდარტების შესაბამისად მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. განისაზღვრება ასევე სტანდარტები რომელიც დაწესებულია თავშესაფრის მომსახურებისათვის. სახელმწიფო ფონდს აქვს ორი თავშესაფარი მსხვერპლთათვის ერთი ბათუმში და მეორე თბილისში, ბათუმის თავშესაფარი გაიხსნა 2006 წელს ხოლო თბილისის 2007 წელს. [საქ 10 გვ 56]

თავშესაფარში ასევე ეხმარებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლებსაც. ეს სახელმწიფო დაწესებულებები ემსახურებიან მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებულ პირებს. კანონის მიღებამდე მსხვერპლნი რჩებიან თავშესაფრებში და ვერ სარგებლობენ სახელმწიფო ფონდებით.

5.2 რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

დაზარალებულთა რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის სტრატეგიის მიხედვით ტრეფიკინგის მსხვერპლი პირის

რეაბილიტაცია ნიშნავს - ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის, დაზარალებულის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის აღდგენა თავშესაფარში ან მის გარეთ უზრუნველყოფილი მომსახურების სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების მეშვეობით

რეინტეგრაცია ნიშნავს - ტრეფიკინგის მსხვერპლის დაზარალებულის ღირსეული დაბრუნება მის ოჯახში და/ან ჩვეულ სოციალური ცხოვრებაში მომსახურების უზრუნველყოფისა და მისი სოციალური ფუნქციონირების დონის ამაღლების გზით.

5.3 მონიტორინგი

2005-2006 წლის სამოქმედო გეგმის 2.1.1 პუნქტი ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების საქმიანობის მონიტორინგი და მონიტორინგის საფუძველზე ანგარიშის მომზადებას რაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობით.

ნაწილი 2.2.4 ითვალისწინებს რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების დახვეწას და შესწავლას ახალი ტენდენციის შესაბამისად. ამ პროცესს სახელმწიფო ფონდი და საკოორდინაციო საბჭო , ისინი პარალელურად თანამშრომლობენ დაინტერესებულ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან . რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის გეგმები წინასწარ განახლებული და გადასინჯულია ანგარიში კი მომზადებული. უწყებათაშორისი ჯგუფი განიხილეს როგორც მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი. რომელიც ყველაზე მცირე წელიწადში ერთხელ უნდა იყოს გამოყენებული.

5.4 გამოძიება და სამართლებრივი დევნა

ტრეფიკინგისა და მასთან მყოფი დანაშაულის გამოძიებაზე პოლიციაა პასუხისმგებელი. შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ცენტრალურ დეპარტამენტში ადამიანით ვაჭრობისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება 2015 წელს შეიქმნა. ხოლო 2014 წელს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება. აღნიშნული განყოფილების თანამშრომლები პოტენციური მსხვერპლის გამოვლინებასა და კონტროლზეა პასუხისმგებელი. ასევე საქართველოს დეპორტირებული მოქალაქეების გამოკითხვაზე სარფის გამშვებ პუნქტსა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

აჭარის რეგიონში ასევე შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი 5 პროკურორის და 7 გამომძიებლის შემადგენლობით. და მათი მიზანია ტრეფიკინგის შემთხვევების ერთობლივად გამოძიება.

თავი V1. უცხოელთა ტრეფიკინგი საქართველოში

გონიოს ბორდელები ტრეფიკინგი თუ პროსტიტუცია

ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ, გაჩნდა ტრეფიკიგის სხვადასხვა სახეები მათ შორის ერთ-ერთი არის მომღიმარი ტრეფიკინგის სახელით ცნობილი , რომელშიც ყველა დანაშაული უფრო მსუბუქი ფორმებით ხორციელდება. ტრეფიკინგის სახეები უფრო და უფრო მეტად იცვლება და იხვეწება. აუცილებელი აღარ არის მაინცდამაინც პირადობის დამადასტურებელი საბუთების ჩამორთმევა და წამება ადამიანების, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს ტრეფიკინგის მსხვერპლად ერთ-ერთი განმარტება შეიძლება იყოს მხოლოდ ნათესავებთან კონტაქტის აკრძალვა, ან ანაზღაურების არაადეკვატური გადახდა, რათა გვქონდეს ტრეფიკინგი სახეზე.

აჭარაში კერძოდ სოფელ გონიოში, შუა აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული 500-მდე ქალი მუშაობს სექს მუშაკად, ძირითადად უზბეკები და რატომ ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებ. ისინი მუშაობენ 27-მდე არაოფიციალურ ბორდელში, რომლებიც მოწყობილია ბარებსა და რესტორნებში, ქალბატონები აცხადებენ , რომ მათ აქვთ ფინანსური ვალდებულებები მათ დამსაქმებლებთან 2000 დოლარი დასაქმებისთვის და 700 დოლარი მგზავრობის.

ეს ნიშნავს იმას , რომ შეთანხმება ხდება წინასწარ იმ ქვეყანაში საიდანაც მოჰყავთ და ისეთი სქემა აქვთ შემუშავებული , როდესაც ჩამოჰყავთ საქართველოში მათ არ აქვთ ამ თანხის გადაუხდელობის უფლება. უზბეკეთში დაკავებული იქნა ერთი ქალბატონი ტრეფიკინგის ბრალდებით მას უკავშირდებოდა 300-ზე მეტი ქალის გაყვანა უზბეკეთიდან და ჩამოყვანა საქართველოში.

გოგონები უზბეკეთიდან საქართველოში სხვადასხვა პირობებით ჩამოჰყავთ. მაგალითად ერთი გოგონას შემთხვევა, რომლის მიმართ განხორციელდა ტრეფიკინგი, გაასამართლეს საქართველოში თურქეთის მოქალაქე. გოგონას ბათუმში ჰპირდებოდნენ ჩაის კაფეში მუშაობას, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ჰპირდებიან სასტუმროში დამლაგებლად ან ბარში მიმტანად მუშაობას და შემდეგ სექსმომსახურების სფეროში აიძულებენ მუშაობას.

ეს გოგონები არიან ძირითადად უზბეკები, ისინი დეპორტირებულნი არიან თურქეთიდან, და რჩებიან საქართველოში. უზბეკეთის მოქალაქე, რომ შევიდეს თურქეთში საჭიროა აიღოს შესაბამისი ვიზა თავის ქვეყანაში. ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები ამბობენ, რომ უზბეკეთში იშვიათად გაიცემა ახალგაზრდა გოგონებზე ვიზები, ამით სახელმწიფო უპირისპირდება ტრეფიკინგის საფრთხეს.

ამიტომ ჩამოდიან საქართველოში უვიზოდ და გადადიან თურქეთში არალეგალურად. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა უზბეკეთის მოქალაქის დეპორტაცია ხდება საქართველოში, ეს არის შემთხვევები, როცა უზბეკეთის მოქალაქეებს ოფიციალურად არ გადაუკვეთიათ საქართველო-თურქეთის საზღვარი მაგრამ თურქეთში შევიდნენ საქართველოდან.

საქართველოს კანონმდებლობით, საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის აღნიშნული ქალები გადაჰყავთ ციხეში და მათი გათავისუფლება შესაძლებელია ჯარიმის გადახდის შემთხვევაში. ჯარიმის თანხა შეადგენს 2000 ლარს.

თურქეთიდან დეპორტირებული ქალების უმრავლესობა რჩება საქართველოში. იმ შემთხვევაში თ ისინი დაბრუნდებიან მშობლიურ ქვეყანაში დამატებით მოუწევთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თურქეთში არალეგალური შესვლის გამო.

ერთი გოგონა თურქეთიდან იქნა დეპორტირებული საქართველოში, რის გამოც ციხეში მოხვდა, ის ადვოკატის დახმარებით გამოვიდა ციხიდან ჯარიმის გადახდის საფუძველზე. მას სურს , რპ, დაბრუნდეს სამშობლოს მაგრამ ის არის დეპორტირებული თურქეთიდან და უზბეკეთში ემუქრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ეს ყველაფერი რაც ვისაუბრეთ გოგონაზე გამორკვეულია ნანა ნაზაროვას მიერ, ის არის ,,ადამიანის ჰარმონიული განვითარების საზოგადოების“ ხელმძღვანელი და ტრეფიკინგის საკითხებზე მუშაობს. იგი აღნიშნავს , რომ გონიოში არის ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი ფაქტები და მკაცრი რეაგირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ.

გონიოში არსებული სასტუმროების უმეტესობა ეკუთვნის თურქებს. ტურისტული სეზონი გრძელდება ერთ, ორ ან მაქსიმუმ სამ თვეს შემდეგ ეს ბიზნესი იწყებს ვარდნას. სწორედ ესაა მიზეზი უზბეკი და არამარტო უზბეკი ასევე უკრაინელი აზერბაიჯანელი გოგონების ამ საქმეში ჩაბმა. უმეტესობა მაინც უზბეკია,

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თურქებისაგან დიდი მოთხოვნა მოდის უზბეკ ქალებზე რადგან ისინი ერთ ენაზე საუბრობენ და საერთო სარწმუნოება აქვთ.

თურქეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ბრძოლა გამოუცხადეს ტრეფიკინგს, რის საფუძველზეც ჩაიხრჩო ეს არალეგალური ბიზნესი და საქართველოში გადმოვიდა კერძოდ ბათუმში და აქაც თურქი მოქალაქეების ხელმძღვანელობით.

6.2 ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის პრევენცია

წინამდებარე კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები და ევროპის საბჭოს ხელმომწერი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ ადამიანით ვაჭრობას შეიძლება მოჰყვეს მსხვერპლის მონურ მდგომარეობამდე მიყვანა. კონვერცია მოიცავს ადამიანით ვაჭრობის ყველა ფორმას და ვრცელდება ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლზე. ამის გარდა მოიცავს ექსპლუატაციის ყველა ფორმასაც. ამის გარდა კონვენციაში წარმოდგენილია ის ღონისძიებები, რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას. ყველაზე დიდი ღირებულება ის არის, რომ ამ კონვენციაში აქცენტი გაკეთებულია მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებაზე. ეს იმას ნიშნავს , რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს, პასუხი მოეთხოვებათ იმ შემთხვევაში თუ არ მიიღებენ შესაბამის ზომებს ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად.

ადამიანით ვაჭრობა არის მსოფლიოში გავრცელებული ფორმა, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები. ამიტომ კონვენცია ნებისმიერი ქვეყნისთვის აქტუალურია და ნებისმიერს შეუძლია შეუერთდეს.

6.3 ტრეფიკინგის მიმართ მოწყვლადობა და მისი ძირითადი მიზეზები

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმას აქვს ცნობიერების ამაღლების პრევენცია მაგრამ არ აქვს ტრეფიკინგის ძირითადი მიზეზების ერთიანი ხედვა გარდა იმ ორი

მიზნისა რომელიც ეხება ქუჩაში მცხოვრები ბავშვების იდენტიფიცირებას, სახელმწიფო მომსახურების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს ქართველების და მოქალაქეობის არ მქონე პირების რეგისტრაციას. იუსტიციის სამინისტრომ გახსნა სერვის ცენტრები სამედიცინო დაწესებულებების გარეთ დაბადებულ პირთა რეგისტრაციისათვის. სპეციალური მობილური ჯგუფები მუშაობენ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან. მოწყვლადი ბავშვებისათვის აუცილებელია კანონმდებლობის გაუმჯობესება რეფერალური მექანიზმის განხორციელება მათთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უზრუნველსაყოფად და მათი გამოყვანა მოწყვლადი მდგომარეობიდან.

განისაზღვრა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები საქართველოში და მათ შორის არის: კომერციული სექს მუშაკები, პოტენციური მიგრანტები, არა მომუშავე ქალები, არასრულწლოვანი გოგონები, არალეგალური ქალი მიგრანტები ცენტრალურ აზიიდან , ბავშვები და დევნილები, აღინიშნა აჭარის რეგიონში მცხოვრები საზოგადოების მოწყვლადობაც იმიტომ რომ სწორედ სამუშაოს უქონლობის გამო მიდიან არალეგალურად თურქეთში. დევნილების მიმართ მთავრობის გარკვეული ძალისხმევის იქნება საჭირო რათა გააძლიერონ მხარდაჭერა. დევნილების დისკრიმინაციისაგან დაცვის მიზნით 2014 წლის მარტში შესწორდა კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ. მიმდინარე წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა დევნილთა განსახლების ბიუჯეტი. ასევე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - დევნილთა საარსებო წყაროები რომელმაც ამ კუთხით საქმიანობა გააუმჯობესა. ასევე ითქვა ისიც , რომ მთავრობამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ცნობიერების ამაღლების გზით უნდა დაუჭირონ მხარი არასამთავრობო ორგანიზაციის ,,თანადგომა“ მუშაობას სექს მუშაკებთან ნდობის დამყარების მიმართულებით. პრევენციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ აღნიშნა ორი ძირითადი პრიორიტეტი ენიჭება დისკრიმინაციის

აღმოფხვრას. აღნიშნული კანონის მიზანია დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის. რასის, კანის, ფერის, სქესის, ასაკის, დაბადების, მოქალაქეობის, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, დაბადების ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული ეთნიკური ან სოციალური, კუთვნილების, პროფესიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

6.4 რა არის GRETA?

GRETA არია ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეიქმნა ადამიანით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. GRETA შედგება 5 დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტისაგან, რომლებიც კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებს წარმოადგენენ. აქ თავმოყრილნი არიან ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფი. (სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელი, ექიმები, ფსიქოლოგები, იურისტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები)

მათი პროფესიული გამოცდილების მიხედვით ხდება მათი არჩევა 4წლის ვადით ინიშნება ექსპერტთა ჯგუფი. და ჯგუფში მუშაობის გაგრძელება შესაძლებელია კიდევ დამატებით 4 წლით.

თავი VII. ტრენინგი და შესაძლებლობების გაუმჯობესება

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ტრენინგს სისხლის სამართლის სისტემის თანამშრომლებისათვის. პროკურატურის საკოორდინაციო საბჭოს და შესაბამისი სახელისუფლებო უწყებების იუსტიციის უმაღლესი სკოლის, სახელმწიფო ფონდის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით. რადგან მათ უხელმძღვანელონ პროცესს. ისინი ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან შეიმუშაონ მიზნები, თემები, სამიზნე ჯგუფები, ასევე შეიმუშაონ ტრენინგის მასალები და ჩაატარონ ტრენინგები.

სისხლის სამართლის სფეროს პრაქტიკოსთა ტრენინგი ჩაატარეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მთავრობის წარმომადგენლებმა

განაცხადეს, რომ 2014 წელს მთავრობამ ტრენინგი ჩაუტარა მშვიდობისმყოფელებს, 24 სამართალდამცავ ოფიცერს და პროკურორს და 12 სამართალდამცავს და ოპერატიული ჯგუფის წარმომადგენლებს, მიუხედავად სისხლის სამართლის სფეროს პრაქტიკოსების ინტენსიური ტრენინგისა აღინიშნა რომ მაინც რჩება გარკვეული გამოწვევები და ხარვეზები. განისაზღვრნენ პრაქტიკოსთა სპეციფიური კატეგორია რომელშიც შედიოდა სასაზღვრო ოფიცრები და მოსამართლე, მათ არ გაუვლიათ ტრენინგი რადგან ისინი საჭიროებდნენ სპეციფიურ ტრენინგს. გამომძიებლების გამოკითხვას სჭირდება უნარების გაუმჯობესება. ერთიანი ხედვის და შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის შეთავაზებულია პროკურორებისა და ოფიცრების ერთიანი ტრენინგი. ტრენინგის მსვლელობისას აღინიშნა ისიც, რომ ტრენინგის პროგრამების მდგრადობა დამოკიდებულია დაფინანსებაზეც.

7.1 მსხვერპლის მოწმის დაცვა

ადამიანით ვაჭრობისა დამის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის 13-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ადამიანით ვაჭრობის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. ასევე შესაძლებელია დახურული მოსმენებისა და სხვა ზომების დაცვა და უზრუნველყოფა. გამოყენებული უნდა იქნას მსხვერპლის ან ბავშვის ან მოწმის უსაფრთხოება და ამას განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 67-ე მუხლი. ზომების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ: საქმე განიხილება ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე რომლის განხილვა ზიანს მიაყენებს მოწმეს ან მსხვერპლს საჯაროდ განხილვის შემთხვევაში. თუ პირადი მონაცემების გამჟღავნება საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, ქონებას ან ჯანმრთელობას. თუ მონაწილე არის

დამოკიდებული დამრღვევზე, სწორედ ამიტომ სამართალდამცავების მიერ ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების გამოძიება ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთან მიმართებაში კონფიდენციალურობის დაცვით. ხელისუფლების განცხადებით ტრეფიკინგის მსხვერპლებს ნებისმიერ დროს აქვთ საკუთარი და ოჯახის წევრების უსაფრთხოების მოთხოვნის უფლება. გამომძიებლებმა და ოპერატიულ თანამშრომლებმა უნდა გაითვალისწინონ ტრეფიკინგის შესაძლო მსხვერპლის გამოკითხვისას და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მიზნით ის სპეციალური ოპერატიული ზომები და პრინციპები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა 2015 წლის იანვარში. ამ შემთხვევაში ხდება დახურული სასამართლო სხდომების ჩატარება. 2014 წლის მარტში ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის შესახებ, რომელსაც დაესწრო მსხვერპლის და მოწმის დაცვის 13 კოორდინატორი, აქვე აღინიშნა ისიც რომ მსხვერპლის და მოწმის დაცვის კოორდინატორები უფრო მალე უნდა ჩაერთონ საქმეში და არა მხოლოდ მაშინ როდესაც მოხდება მსხვერპლის სტატუსის მინიჭება. ასეთი მიდგომა გაზრდის ტრეფიკინგის მსხვერპლთა სისხლის სამართლის წარმოების წარმატებულ შესაძლებლობას და იქნება მსხვერპლზე ორიენტირებული. ასევე აღინიშნა ისიც რომ სისხლის სამართლის სფეროს პრაქტიკოსებს, სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს შორის თანამშრომლობა გააძლიერებს მტკიცებულებების მოპოვების საშუალებას.

7.2 პრევენცია

ადამიანით ვაჭრობის პრევენციის მექანიზმს, რომელის მოიცავს სოციალურ ეკონომიკურ ზომებს, ძირეულ მიზეზებზე მუშაობას , კვლევის ჩატარებას და მონაცემთა შეგროვებას, არარეგულარული მიგრაციის და ადამიანით უკანონო ვაჭრობის შემცირებას, მიგრაციის რეგულაციების გაუმჯობესებას, განსაზღვრავს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის 5-ე მუხლი. ასევე სასკოლო ტრენინგების ჩატარებას ბავშვებში და ამ თემის საგაკვეთილო პროცესში

ჩასმას. 6-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებების კომპეტენციებს პრევენციულ ღონისძიებებთან მიმართებაში. ამასთან 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის 1-ლი სტრატეგიული მიზანი ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის პრევენციას.

7.3 მედია საშუალებები და ინფორმაციის ამაღლება

ეროვნული სამოქმედო გეგმის უპირველესი ამოცანა არის ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება. რომელიც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ითვალისწინებს აქტივობების ჩატარებას. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ბუკლეტების გავრცელებაც შეიძლება ჩაითვალოს აქტივობად. ასევე შესაძლებელია საჯარო განხილვების ჩატარება ისეთ ადგილებში როგორიცაა საშუალო უმაღლეს და პროფესიული განათლების დაწესებულებები, საინფორმაციო შეხვედრები ტრეფიკინგის რისკის შესახებ, ინფორმაცია შეიძლება გავავრცელოთ ვებ გვერდებით, შრომის კოდექსის გადასინჯვით და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ევროპული და მსოფლიო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებებით.

საქართველოში მასშტაბური საინფორმაციო კამპანიები ჩატარდა გასული რამდენიმე წლის განმავლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის რომ მე-9 და მე-10 კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებში ტრეფიკინგის და უსაფრთხო მიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტანა. ასევე ჩატარდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, რომელშიც შედიოდა მრგვალი მაგიდის ღონისძიებები, სკოლებში ბეჭდური მასალის გავრცელება სხვადასხვა ენაზე, გასვლითი ღონისძიებები ჩატარდა ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან და მომუშავე ბავშვებთან, ცნობიერების ამაღლების კამპანიის სამიზნე ჯგუფი არის მოწყვლადი ჯგუფი მათ შორის სოფლად მცხოვრები, ამიტომ შეხვედრები ტარდება ქალთა ორგანიზაციებში და სოფლის სკოლებში. თურქეთსა და საბერძნეთში მიმავალ პოტენციურ ემიგრანტებს გადაეცათ ინფორმაცია ტრეფიკინგის შესახებ, ასევე რჩევები და ცხელი ხაზის საკონტაქტო

ნომრები რომლებზეც დარეკვა შეეძლოთ დახმარების საჭიროების შემთხვევაში. ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციის უკეთ გაშუქებისთვის რეგიონში ჩატარებულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ ძირითადად ჟურნალისტები, და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. საქართველოს მთავრობამ აღნიშნა რომ მედია საშუალებები არის ყველაზე პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფი ცნობიერების ამაღლებისათვის.

7.4 მოთხოვნის პრობლემის მოგვარება

სასკოლო განათლებით უნდა მოგვარდეს მოთხოვნის პრობლემა. კერძოდ სოციალური საგნების მეშვეობით როგორიცაა ისტორია, სამოქალაქო სწავლება და გეოგრაფია. 2015-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს შრომის ინპსექციის შექმნას შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის კონტექსტში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შრომისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამინისტრომ მოამზადა პროექტი შრომის პირობების მონიტორინგის დამტკიცების შესახებ ის მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის შესახებ დამსაქმებლებსა და დასაქმებულების ცნობიერების ამაღლებას.

თავი VIII

პრობლემის გადაჭრის ხერხები

საქართველოში უცხოელების ტრეფიკინგი დაკავშირებულია მხოლოდ სექსუალურ ექსპლუატაციასთან, რადგან ჩვენ არ ვართ ისეთი ქვეყანა, რომ შრომით ექსპლუატაციაზე იყოს ტრეფიკინგი. თუ გადავხედავთ 2013 წლის სტატისტიკას სექსუალურ ექსპლუატაციაზე 6 საქმეზე დაიწყო გამოძიება, აქედან კი განაჩენი 4-ზე გამოვიდა; შრომით ექსპლუატაციაზე დაიწყო 3 საქმის გამოძიება, მაგრამ განაჩენამდე არცერთი არ მისულა. ეს პრობლემა ჩვენი მენტალობიდანაა გამომდინარე და

თურქეთის მოქალაქეებიც ერთობიან საქართველოში და დაკავებული არიან ამ საქმით.

ჩემი აზრით უცხოელთა ტრეფიკინგის პრობლემა საქართველოში კანონმდებლობის არაზუსტი რეგულაციით ხდება:

• ძალიან ლიბერალურია სავიზო რეჟიმი, როგორც სავიზო კატეგორიების, ისე საზღვრებზე ვიზების გაცემის თვალსაზრისით, რაც პრაქტიკულად ყველა ქვეყნის მოქალაქეზე ვრცელდება;

• კარგად გაწერილ მოთხოვნათა არ არსებობა ბინადრობის ნებართვების გაცემასა და კატეგორიების მინიჭებასთან დაკავშირებით, ასევე მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმების საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში იმ თვალსაზრისით, რომ თვითონ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია.

• არ არსებობს უცხოელებზე მუშაობის ნებართვის გაცემის მკაცრად განსაზღვრული სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ არც რაიმე შეზღუდვები არსებობს იმ უცხოელთა დასაქმებაზე, რომლებიც მარტივად, სამუშაო კონტრაქტის წარდგენისთანავე იღებენ ბინადრობის ნებართვას და არც მის დამქირავებლებს ეკისრებათ რაიმე განსაკუთრებული ვალდებულება;

• გარდა ქვეყანაში შესვლის და მისი ტერიტორიიდან გასვლის მომენტებისა, არანაირი მექანიზმი არ არსებობს, რისი საშუალებითაც გადამოწმდება უცხოელთა „სტატუსის ცვლილება“ ქვეყნის ტერიტორიაზე;

• არ არსებობს სისტემა, რომელიც დროულად გააფრთხილებს მიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელ უწყებებს იმ უცხოელთა შესახებ, რომელთაც

„ვადას გადააცილეს“ (როგორც ვიზის, ისე ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლის შემთხვევაში);

• არ არსებობს არალეგალური მიგრანტების დაკავების მექანიზმები;

• არ არსებობს საკმარისი თანხები დეპორტაციის აღსასრულებლად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევების რაოდენობა ჯერ კიდევ ცოტაა;[გვ7]

8.1 დახმარება და დაცვა

სახელმწიფო თავშესაფარში ტერფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერის დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ:

· თუ ერთ თავშესაფარშია ტრეფიკინგის და ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, როგორი გავლენა ექნება ამას, როგორი იქნება ორივე კატეგორიაზე მომსახურების ხარისხი და წარმატებული კატეგორიზაცია. აუცილებელია მსხვერპლები განთავსდნენ ცალკ-ცალკე, მომსახურების გაძლიერების მიზნით, თავშესაფრები უნდა იმარტებოდეს სხვაგვარად.

· უნდა განისაზღვროს ტრეფიკინგის მამაკაცი მსხვერპლისთვის რამდენად გაზრდის იძულებით შრომას მსხვერპლის იდენტიფიცირების გაუმჯობესებული შესაძლებლობა და რამდენად ადეკვატური დარჩება ახლა არსებული მიდგომა მამაკაცების თავშესაფრით დაკმაყოფილებისადმი.

· პოტენციურად მზარდი მსხვერპლის საჭიროებების დაკმაყოფილება 48 საათზე მეტი ვადით, განსაზღვრა იმისა თუ რამდენადაა შესაძლებელი , ასევე იმის განსაზღვრა თუ რამდენად უნდა იქნას გაზრდილი სახელმწიფო ფონდს მხარდაჭერა რათა მან სათანადოდ უზრუნველყოს მომსახურებები.

რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციასთან დაკავშირებით ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლების , დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდმა უნდა გაითვალისწინოს:

· ძირითად რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკები, დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების და სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლების შეხვედრის ორგანიზება, რადგან განისაზღვროს, რატომ ვერ სარგებლობს ზოგი ტრეფიკინგის მსხვერპლი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებით და როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა.

დახმარებასა და დაცვის მონიტორინგთან დაკავშირებით:

· სახელმწიფო ფონდს და საკოორდინაციო საბჭოს მიეცათ რეკომენდაცია განახორციელონ ეროვნული სამოქმედო გეგმის 2.2.3 ნაწილი. ამის შესრულებისთვის საჭიროა მექანიზმის შემუშავება ადგილობრივ არასამთავრობოებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იმ სოციალურ მუშაკებთან პარტნიორობით, რომლებიც მუშაობენ შესაბამის რეგიონში.

· ასევე შეაფასონ სოციალური მუშაკების შესაძლებლობა მთელ ქვეყანაში, ასევე ძალიან ეფექტურად განახორციელონ რეაბილიტაციის გეგმა

8.2 გამოძიება და სამართლებრივი დევნა

სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის გამოყენების გაზრდის მიზნით დაინტერესებულმა მხარეებმა (მათ შორის, პროკურორები, გამომძიებლები, დაინტერესებული ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები) უნდა გაითვალისწინონ:

· იმ ინფორმაციის მომზადება და გადაცემა პროკურორებისთვის და გამომძიებლებისთვის, რომელიც ეხება ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ გაწეული მომსახურებით სარგებლობას კრიმინალიზაციის შესახებ. აქ განხილული უნდა იყოს მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემები და დანაშაულის ელემენტები, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ ინფორმაციის ინტეგრირება შესაძლებელია სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც შემუშავებულია სამართალდამცავებისათვის.

ტრენინგისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების ღონისძიების გაძლიერებისათვის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს:

· ასეთი მექანიზმის შექმნა: რომელიც გააუმჯობესებს შესაძლებლობებს, როგორიცაა: პროკურორის, პროკურატურის, საკოორდინაციო საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, და დაინტერესებული ადგილობრივი არასამთავროებები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით, იმიტომ რომ მომზადდეს შესაძლებლობების გაუმჯობესების ღონისძიებების ჰარმონიზაცია და ტრენინგის მიზნით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას გადამზადების და სწავლების საჭიროებების დაკმაყოფილება.

· სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყოფა შესაძლებლობების გაუმჯობესების ჯგუფისათვის და ტრენინგის საქმიანობისათვის.

· იმ ინდიკატორის შემუშავება , რომელიც იქნება ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ტრენინგის, კურსდამთავრებულთა გაძლიერებული შესაძლებლობების და განსაზღვრული საჭიროებებს შორის შესაბამისი შედეგები.

სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყოფის შესახებ რეკომენდაციაზე, საქართველოს მთავრობამ აღნიშნა, რომ არ არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან რაიმე თანხის გამოიყოფა საჭირო შესაძლებლობების გაუმჯობესების საქმიანობისთვის რადგან ის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დაქვემდებარებაშია.

მოწმეთა და მსხვერპლთა დახმარებასა და დაცვასთან დაკავშირებით, სასამართლო წარმოების დროს, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს:

· მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისი მხარდამჭერის უზრუნველსაყოფად მოწმეთა და მსხვერპლთა კოორდინატორების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

· მოწმეთა და მსხვერპლთა კოორდინატორებს , რაც შეიძლება მალე ჩართვა მაგალითად იდენთიფიცირებისას.

· სისხლის სამართლის პროცედურებში თანამშრომლებიის შესაძლებლობის და ღირებულების გაზრდის მიზნით, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მონაწილეობის განხილვა, მოწმეთა და და მსხვერპლთა უკეთ დაცვის და დახმარებისთვის.

8.3 როგორ იგებს ხელისუფლება მსხვერპლის შესახებ?

· მაღალი რისკის ადგილებში ტრეფიკინგის პოტენციური შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა 4 მობილური ჯგუფი.

· პოლიცია რადგანაც მათ ყველაზე მაღალ დონეზე შეუძლიათ ყალბი საბუთების გამოვლენა ისინი ხშირ შემთხვევაში ამყარებენ ტრეფიკინგის მსხვერპლთან პირველ კონტაქტს, სავიზო კონტროლისას დაუყოვნებლივ აცნობებენ გამომძიებლებს შესაძლო ტრეფიკინგის შესახებ და პოტენციური მსხვერპლი გადაჰყავს უსაფრთხო ადგილზე თანმხლები პირების გარეშე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წევრები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის და უკანონო მიგრაციის სამმართველოს წევრები ერთვებიან ყალბი დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში. 24 საათის განმავლობაში ისინი აკონტროლებენ საზღვრების მონიტორინგს და აწარმოებენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად ეჭვმიტანილ პირთა გამოკითხვას.

· **მიგრაციის დეპარტამენტი** - რომელის შეიქმნა 2014 წლის აგვისტოში. 2012 წელს კანონი ძალაში შევიდა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წელს შევიდა საწინააღმდეგო დებულებები ადამიანით ვაჭრობის შესახებ. 2005 წლიდან კი როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტი შექმნა დაიწყო სამოქმედო გეგმების მიღება. 2006 წელი კი იყო გარდამტეხი საქართველოში ტრეფიკინგზე რეაგირების თვალსაზრისით, რადგან კანონი შევიდა ძალაში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ასევე შეიქმნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების ფონდი.

1990 წლებში საბჭოთა კავშირის დაშლამ და ქვეყნის შიდა არეულობამ და კონფლიქტებმა ასევე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებამ გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის მრავალრიცხოვანი მიგრაცია რუსეთში, აშშ-ში, ევროკავშირში. ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს ადამიანით ვაჭრობისას წარმოადგენდა ქვემო ქართლი და აჭარა. ასევე თბილისი და კახეთიც გამოირჩევიან. ქართველი მიგრანტები ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან ძირითადად, როდესაც

სააგენტოები და დამსაქმებლები სოფლის მეურნეობაში სთავაზობენ დასაქმებას ან იმ სამუშაოებზე დასაქმებას, რომლებიც რაიმე განსაკუთრებულ უნარს არ საჭიროებს.

8.4 საკანონმდებლო ჩარჩო

ადამიანით ვაჭრობას განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი: ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება აგრეთვე მუქარით ძალადობით ან ძალადობის რაიმე სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის 3(ა) მუხლი ადასტურებს სისხლის სამართლის კოდექსის დეფინიციას და განმარტავს რომ მსხვერპლის თანხმობა მნიშვნელოვანია. 2015 წელს 143-ე მუხლი გახდა დასჯადი.

გამოძიება დევნა და მსჯავრდება

2015 წელს საქართველოს მთავრობამ წარადგინა ანგარიში 2014-2015 წლებში განხორციელებული გამოძიებისა და დევნის შესახებ.

	2014	2015

გამოძიება	13	18
დევნა	5	5
სასამართლოსთვის გაგზავნილი საქმეები	4	3
მსჯავრდება	4	3
მსჯავრდებულები	6	3
ტრეფიკინგის მსხვერპლნი და დაზარალებულნი	7	8

[ადამიანით ვაჭრობა ტრეფიკინგი გვ 31]

მოხდა ხელისუფლების წევრების გამოკითხვა და ინტერვიუს მსვლელობისას მათ დაადასტურეს, რომ გამოძიებების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა.

დასკვნა

სოციოლოგიური კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

დღეს დღეობით ტრეფიკინგი არის ძალიან აქტუალური თემა, ეს ტერმინი ძალიან ხშირად ისმის მედია საშუალებებში, გადაცემებსა თუ სტატიებში, ახალგაზრდა თუ ხანდაზმულ ადამიანებში, მიუხედავად იმისა, რომ „ტრეფიკინგი“ შეიძლება აღარ ჩაითვალოს უცხო სიტყვათ, მისი მნიშვნელობა ძალიან ბევრ ადამიანს სრულფასოვნად არ ესმის, ზუსტად ამაზე მიგვითითეს ასეთი ხშირი შემთხვევები,

ადამიანით ვაჭრობისა. სწორედ ამიტომაც ჩემი გამოკითხვა ეხებოდა იმის განსაზღვრას, თუ რამდენად ესმის საზოგადოებას ტრეფიკინგის მნიშვნელობა და რაში ხედავენ გამოსავალს ტრეფიკინგის აღკვეთის პრევენციაში. ახლა წარავადგენ ჩემი კვლევის ნუსხას.

9.1 ტრეფიკინგის შესახებ, კვლევის (გამოკითხვის) ნუსხა:

სქესი:

- მამრობითი
- მდედრობითი

1-ასაკი:

- 14-18
- 18-25
- 25-40
- 40-დან ზევით

2-პროფესია:

- სტუდენტი
- დიასახლისი
- საჯარო მოხელე
- მოსწავლე
- იურისტი, პოლიციელი
- სხვა

3-რა არის ტრეფიკინგი?

- „ტრეფიკინგი" არის მხოლოდ ადამიანით ვაჭრობა და ადამიანის სხეულის ნაწილების მიტაცება გაყიდვის მიზნით

- ,,ტრეფიკინგი"არის ადამიანის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა შეფარება ან მიღება მუქარის ძალის გამოყენებით ან სხვა საშუალებით (მოტყუებით მოტაცებით,)
- არვიცი ,,ტრეფიკინგის' შესახებ არაფერი მსმენია

4-რის გამო შეიძლება გახდეს ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლი?

- ფინანსური პრობლემების გამო
- დაუცველობის გამო
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ მრავალი მიზეზის გამო

5-ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციიის მიზნით უნდა ჩაითვალოს თუ არა ტრეფიკინგად მაშინაც კი, როდესაც არ ყოფილა გამოყენებული იძულება, მოტაცება, თაღლითობა და მოტყუება?

- კი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს
- არა
- გააჩნია ბავშვის სოციალურ მდგომარეობას

6-რაიგულისხმება სიტყვა ბავშვში?

- ასაკი 12-დან 14-მდე
- ასაკი ჩვილობიდან 12-წლამდე
- ასაკი დაბადებიდან 6-მდე
- ყველა ადამიანი 18-წლამდე

7-თქვენი აზრით ვინ არიან ყველაზე ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლნი?

- ქალები და ბავშვები

- ქალები
- ბავშვები
- ყველა ადამიანი შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი განურჩევლად სქესისა და ასაკისა

8- დაბალი ანაზღაურება შეიძლება ჩაითვალოს ტრეფიკინგად?

- კი
- არა
- არვიცი

9-შეიძლება თუ არა ტრეფიკინგად ჩაითვალოს ნათესავებთან კონტაქტის აკრძალვა?

- კი
- არა
- არვიცი

10-რით შეიძლება უზრუნველყონ სახელმწიფოებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ან სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ტრეფიკინგის მსხვერპლნი?

- საერთოდ არ მიფიქრია ამ თემაზე
- ვფიქრობ ეს მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი დაწესებულებების ვალდებულებაა
- ყველა ადამიანი, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი უზრუნველყონ საკვებით, ფსიქოლოგიური თანადგომით, სამედიცინო მომსახურებით და ყველა იმ სასიცოცხლოდ საჭირო ქმედებით დაეხმარონ ტრეფიკინგის მსხვერპლ ადამიანებს.

11-თქვენი აზრით სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართალდამცავი, საემიგრაციო და შესაბამისი უწყების თანამდებობის პირთა მომზადება ტრეფიკინგის აღკვეთის სფეროში?

- ვფიქრობ საქართველოში საკმაოდ მზად არიან შესაბამისი სამსახურები
- არვიცი არ მიფიქრია ამ თემაზე
- კი აუცილებლად

12-რა ღონისძიებები შეიძლება შეიმუშაონ სახელმწიფოებმა ტრეფიკინგის აღკვეთაში? რესპოდენტთა პასუხები:

1. უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირების დონე უნდა ამაღლდეს.

2. პირველ რიგში გამოაშკარავონ ის ადამიანები, ვინც ვითომდა პატიოსან ბიზნესმენებს უწოდებენ საკუთარ თავს და მკაცრად დასაჯონ

3. შესაბამისმა ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ მსგავსი სახის პრობლემებთან საბრძოლველად, უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული ჯგუფი რომელიც უზრუნველყოფს ხალხის დაცვას ამ მიმართულებით

4. უფრო მეტად უნდა იყვნენ ადამიანები ინფორმირებული რათა არ მიიღონ მცდარი გადაწყვეტილება განსაკუთრებით ბავშვები

5. საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებით თუ როგორ შეიძლება ადამიანი გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი

6. სამართალდამცველ ორგანოთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრეფიკინგის საკითხში.

7. ჩემი აზრით, უნდა მოეწყოს ღონისძიებები, ხალხს კი , მოუწოდონ და ანახონ რეალობა , რომ არ არის სწორი ცხოვრების წესი და ამგზით, არ უნდა ცხოვრობდნენ . რაც ყველაზე მთავარია, მეტად უნდა დაუდგნენ გვერდში, იმ ადამიანებს ვინც ნაკლებად დაცულები არიან ,ან კიდევ უსახლკაროები .რომლებიც ყველაზე ადვილად ხტებიან ტრეფიკინგის მსხვერპლები .

8. უნდა შექმნან სამსახური,რომელიც გამოიკვლევს ტრეფიკინგის "ორგანიზატორების" მოტივებს.

9. გაამკაცრონ კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, საჭიროა კვალიფიციური კადრების არსებობა და ა.შ.

10. ხშირად უნდა გაიმართოს ტრენინგები ტრეფიკინგის აღკვეთის თაობაზე

11. არმიფიქრია,როგორ შეიძლება აღიკვეთოს.

12. უპირველესყოვლისა, უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას სხვა კუთხით შეხედონ ამ პრობლემას – არა ზიზღით, დაცინვით, არამედ პრობლემის გადაჭრის, კეთილგონიერი თვალით.

13. სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ადამიანით თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლას ვაჭრობის მსხვერპლთა უფლებების დაცვით.

14. მაქსიმალურად უნდა აიკრძალოს ქვეყანაში ტრეფიკინგი და ტრეფიკინგის მსხვერპლი, რამეთუ არსებობს

15. საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობის დახვეწისთვის მნიშვნელოვანია არსებული კანონმდებლობის ანალიზი, რაც გულისხმობს საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის ანალიზის იდენტიფიცირების პროცედურებს, ქუჩის ბავშვების

პრობლემების შესწავლას, ადამიანის ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესწავლას, არასრულწლოვნით ვაჭრობის სამართლებრივი პრაქტიკის შესწავლა საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით, სოციალური მომსახურების შესაბამისი სამსახურების გაძლიერება მათი აქტიურად ჩართვა არასრულწლოვანთა დაცვის და დახმარების ზომების განხორციელების პროცედურებში. შესაბამისი პროცედურების განხორციელება იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს ამ უმძიმესი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების სრულყოფა.

16. გააძლიეროს თანამოქალაქეთა უფლებების დაცვა

17. უნდა შექმნას რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი, რათა სიღარიბის გამო ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლად არ იქცეს.

18. გაამკაცრონ საზღვრის კვეთა

19. ჩემი აზრით ტრეფიკინგის აღკვეთა ასე პირდაპირ შეუძლებელია, ვინაიდან ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი როგორებიც არიან ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა, დღესაც არიან ტრეფიკინგის მსხვერპლები. ყველაზე დიდი პროგრესი ამ მხრივ მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება თუ საზოგადოებაში ამაღლდება სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც თავის მხრივ ძალიან რთული პროცესია.

20. მეტი ინფორმირება და მეტი ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან.

21. მეტი ინფორმირება მოქალაქეების ტრენინგებისა თუ სატელევიზიო რეკლამებით

22. კანონი მკაცრი კონტროლი , სასკოლო პროცესში აქტიური საინფორმაციო საშუალებების გამოყენება, შრომის პირობების გაუმჯობესება, დასაქმების და ბიზნესის ხელშეწყობა,....

23. სახელმწიფო უწყებების სათანადო საქმიანობით. მაღალი პასუხისმგებლობითი საქმიანობით და მუდმუვი კონტროლით.

24. უნდა დაიცვან თითოეული ადამიანის უფლება, ოჯახებს ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება. არ უნდა მიდიოდნენ უცხოეთში სამუშაოდ.

25. ბევრი რამ აქვთ დასახვეწი მათი კონტრაქტით გაგზავნილი ხალხიც კი მსხვერპლია მონური სამუშაოს...

26. როდესაც სახელმწიფო საკუთარ თავზე წარმოიდგენს ამ პრობლემას, ვფიქრობ ყველანაირ გზას გამონახავენ.

27. სახელმწიფომ უნდა დაეხმაროს მოქალაქეს კანონიერად შეძლონ სამუშაო უფლებების მოპოვება უცხოეთში.ან.შექმნას ბევრი სამუშაო ადგილი რათა ხალხს არ მოუწიოს წასვლა.და ინფორმირებული უნდა იყოს საზოგადოებაა რა არის ტრეფიკინგი

28. თითოეული მოქალაქე თავს უნდა გრძნობდეს დაცულად თავის ქვეყანაში, განურჩევლად სქესისა ასაკისა თუ სოციალური მდგომარეობის

29. უპირველეს ყოვლისა კანონის გამკაცრებით, შემდგომში მოსახლეობის ინფორმირებულობით რა გზით შეიძლება გახდნენ ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლი და ასწავლონ მათ თუ რა მეთოდებით შეიძლება თავის დაცვა

30. ქვეყანაში საშუალო ანაზღაურებაა გასაზრდელი და მეტი სოც. პროექტი და ა. შ.

დიაგრამა %-1



დიაგრამა %-2



დიაგრამა%-3



დიაგრამა %-4



დიაგრამა%-5



დიაგრამა %-6



დიაგრამა %-7



დიაგრამა % -8



დიაგრამა % - 9



დიაგრამა %- 10



დიაგრამა % - 11


თქვენი აზრით სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართალდამცავი, საემიგრაციო და შესაბამისი უწყების თანამდეგობის პირთა მომზადება ტრეფიკინგის აღკვეთის სფეროში?
86 responses
81.4%
10.5%
ვფიქრობ საქართველოში საკმაოდ მზად არიან შესაბამისი სამსახურები
არვიცი არ მიფიქრია ამ თემაზე
კი აუცილებლად



გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მასწავლებლის წიგნი მე-9 კლასი. ავტორები: მაია გოგოლაძე, მანანა ჭინჭარაძე, გამომცემლობა: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IMO) 2009. 01.17 საქართველო, თბილისი
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, გამომცემლობა : მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. 0169 თბილისი, საქართველო. ავტორი: მარიკა მაკადამი

3. საქართველოს კანონი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (თბილისი) 2006 წლის 28 აპრილი %2944
4. სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა: ტრეფიკინგი საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ავტორი: შალვა ნინიძე, ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო ბოჭორიშვილი, თბილისი 2020
5. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი. ადამიანით, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ.
6. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ტრეფიკინგი საქართველოში. (წარმოდგენილია ELSA-ს ნაშრომთა კონკურსში მონაწილეობისათვის) ავტორი: თემურ აბაშიძე, ხელმძღვანელი, მოწვეული სპეციალისტი დავით სამნიძე. ბათუმი 2014
7. სისხლის სამართლის ქრონიკები (საერთაშორისო სამართლის დოკუმენტაცია) თბილისი 2018
8. ბაქაქური, „ ოჯახური ძალადობა და ადამიანთა ტრეფიკინგი“ (როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები. თბილისი 2004
9. ტრეფიკინგი და უკანონო მიგრაცია. შინაგან საქმეთა სამინისტრო 2013

გამოყენებული ვებ გვერდების ნუსხა

10. ადამიანითვაჭრობა(ტრეფიკინგი) https://www.myadvokat.ge/ka/about/645/adamianit-vaWroba-%28trefikingi%29
11. ტრეფიკინგი და უკანონო მიგრაცია https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saertashoriso-urtiertobebis-departamenti/saertashoriso-samartlebrivi-tanamshromloba/regionaluri-tanamshromloba/suami/trefikingi-da-ukanono-migratsia

12. ბავშვთა ტრეფიკინგი და ბავშვების დაცვა http://phf.org.ge/ka/media/photo-gallery/bavshvta-trefikingi-da-bavshvebis-dacva-mdgradi-gadawyvetilebebi-bavshvis-sauketeso-interesebis-dasacavad/https
13. არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი https://1tv.ge/news/arasrulwlovanta-trefikingi-daakaves-col-qmari-romelic-bavshvebs-tbilisis-skhvadaskhva-ubnebshi-amushavebda/
14. ამბიონი „ტრეფიკინგი“ 29.01.2010 http://www.ambioni.ge/trefikingi